# ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 61 — ნიუ-იორკი, დეკემბერი 1963 წ. — GEORGIAN OPINION — NEW YORK, DECEMBER 1963


**„ქართული აზრი“-ს რედაქცია მხურვალედ გილოცავთ ქრისტეს შობისა და ახალი წლის დღესასწაულებს და გულწრფელად გისურვებთ მომავალი წელი ყოფილიყოს ყველა ქართველი სათვის,—სამშობლოში და უცხოეთში,—სიხარულისა და ბედნიერების წელი.**

ნიუ-იორკი, დეკემბერი 1963 წ.

ქართული სათვისტომოს გამგეობამ პრეზიდენტ კენედის ქვრივს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

ქალბატონ ჟ. კენედის,

თეთრი სახლი, ვაშინგტონი.

შეერთებულ შტატებში არსებული ქართული სათვისტომო დასტირის პრეზიდენტ კენედის ტრაღიკულ დაღუპვას და მხურვალე სიმპატიას უცხადებს მის ოჯახს და მთელ ერს, რომლის სამსახურშიც ის აღსრულდა, როგორც მთელი კაცობრიობის მშვიდობიანობისათვის მებრძოლი.

**დრ. ო. ზალდასტანი.**

ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე.

---

უკვდავ-უბერებელი ამ ქვეყნად არავინ არ არის. ყველას ამ ქვეყნიდან განშორება, ე. ი. სიკვდილი მოგველის. ყოველი ადამიანი სიკვდილს სხვა და სხვანაირად უყურებს. ზოგს ეშინიან მისი, ზოგი მისკენ მიისწრაფვის. ეს იმის და მიხედვით, თუ ვის რა შინაგანი რწმენა და მისწრაფება აქვს.

ქრისტიანული ცივილიზაციის, მორალის და აღზრდის ერთი უდიდესი დამსახურება ისიც არის, რომ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და აქედან განშორების შემდეგაც მაღალი მიზანი დაუსახა.

ქრისტიანული აღმზრდელობა ყოველდღიურ ცხოვრების მიზნად ადამიანს უსახავს სიყვარულს, დავრდომილის დახმარებას, უანგარო მეგობრობას, აღვივებს კეთილშობილურ გრძნობას და სამშობლოსადმი მიძღვნილობას. ვინც ამ თვისებებს იცავს და თავის ყოველდღიურ მოქმედებაში ანხორციელებს, მას სიკვდილისაც არ ეშინიან, რადგან მისთვის სამოთხის კარი ღია არის და დაუსრულებლობაში, უკვდავებაში გადასულს მოელის ბედნიერი და მშვიდი ცხოვრება.

ქართველ გენიოს, სწორედ ქრისტიანული ცივილიზაციის მიერ ’სიკვდილ-სიცოცხლის“ განმარტებამ ათქმევინა: „ვინც რომ მოკვდნენ მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიანო“. იმ ეპოქაში მეფეთათვის სიკვდილი სამშობლოსადმი მიძღვნილობა იყო, რადგან მეფე იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სიმბოლო. ხოლო სამშობლოსათვის თავგანწირვა, მისთვის აღსრულება, მეგობრისადმი მიძღვნილობა, გლახაკთა და დავრდომილთა დახმარება („მიეც გლახაკთა საჭურჭლე ანთავისუფლე მონები“.) ქრისტიანული მორალის ნაყოფია და ვინც ამ კეთილშობილური გრძნობით განიმსჭვალება, მისთვის სამოთხეც უზრუნველყოფილია.

ყოველ ჩვენთაგანს სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენია სამოთხეც და ჯოჯოხეთიც... ეს შეიძლება იყოს პირადი დაკმაყოფილება, თუ საიქიო ცხოვრების იმედი.

ამ შემთხვევაში მთავარი და ხაზგასასმელი ის არის, რომ ქრისტიანობამ მოგვცა სურვილი რათა აქაური ცხოვრებისათვის ღრმა, მიმზიდველი და კეთილშობილური შინაარსი მიგვეცა.

აი, ამ ქრისტიანულ-კათოლიკური ცივილიზაციის და აღზრდის პირმშო იყო ტრაღიკულად აღსრულებული პრეზიდენტი კენედი.

დიდი გაქანების პოლიტიკურ-სახელმწიფო მოღვაწემ ადრევე გამოამჟღავნა ქრისტიანული მორალით შთაგონებული კეთილშობილური გრძნობები.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც ავადმყოფი, სამხედრო უწყებამ დაიწუნა და სამსახურში არ მიიღო. მას დამშვიდებული სინიდისით შეეძლო უზრუნველი ცხოვრება გაეგრძელებინა. მაგრამ მისი შინაგანი მოთხოვნილება და სამშობლოსადმი მიძღვნილობა ამას ვერ შეურიგდა და მოახერხა საზღვაო ფლოტში სამსახური. ამ გვარად მისი პირიდან ამოსული „ნუ კითხულობთ რა მოგცად სამშობლომ, იკითხეთ რა მიეცით თქვენ მას“, არ იყო პიტალო სიტყვები და ამას, ბრძოლებში თავგანწირვით, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ამართლებდა.

როდესაც იაპონელებმა მისი სამხედრო ნავი „პ. ტ. 109“ შუაზე გაჭკვეთეს, გადარჩენილ თანამებრძოლებს,—მაშველის მოსვლამდე, თავდაუზოგველი მეგობრული მზრუნველობით უვლიდა. ესეც ხომ ქრისტიანული ცივილიზაციის გამომჟღავნებაა!

ჟ. კენედი არა მარტო პირველი კათოლიკე პრეზიდენტი იყო, არამედ უახალგაზრდავესი მთელ შეერთებულ შტატების ისტორიაში.

არჩევნების დროს მრავალი გამოსთქვავდა ეჭვს და მის შეუფერებლობას ახალგაზრდობით ასაბუთებდა. მალე გამოირკვა, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტს ჰქონდა შინაგანი ძალა და თავდაჭერა, სიდინჯე და გაბედულება, რამაც ის სულ ორნახევარ წელიწადში, არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში მიმზიდველ და წარმტაც პიროვნებად აქცია.

როდესაც რუსეთმა დასავლეთ მოკავშირეების ბერლინიდან განდევნა განიზრახა და სათანადო მოძრაობაც დაიწყო, პრეზიდენტმა კენედიმ ბერლინის გარნიზონი გააძლიერა. ამას არ მოჰყოლია ჩოჩქოლი, მუქარა და ალიაქოთი. პრეზიდენტმა კენედიმ ამას სრულიად ნორმალური ხასიათი მისცა; მშვიდი, დინჯი და დარბაისლური. შემდეგ თვით პრეზიდენტმა ინახულა ბერლინი და იქ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „მეც ერთი ბერლინელი ვარო“. თავისუფალი გერმანიის ყოველმა მოქალაქემ იცოდა კენედის მიერ წარმოთქმული ამ ფრაზის ღრმა მნიშვნელობა და ამიტომ, სწორედ იმ ადგილს, სადაც ეს სიტყვა წარმოითქვა დაარქვეს „კენედის მოედანი“.

შეერთებული შტატების ახალგაზრდა პრეზიდენტმა სულ პირველად შეხედა ატომური ომის შესაძლებლობას თვალში... შეხედა დინჯათ, მოფიქრებულად, როდესაც მან მიმართა რუსეთს, რათა დაუყონებლივ გაეტანა კუბიდან ატომური იარაღი. მთელი ხუთი დღის განმავლობაში კაცობრიობა დაძაბული ნერვებით მოელოდა შედეგს. ხრუშჩოვი ჯერ თავისებური ურწმუნოებით შეევაჭრა: ოსმალეთის და სხვა ბაზების დაცლა მოითხოვა სამაგიეროთ, მაგრამ მალე მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა ძლიერი ბუნების, მტკიცე გარდაწყვეტილების და უშიშრად მომქმედ პიროვნებასთან და... კუბიდან გაიქცა. პრეზიდენტმა კენედიმ არც ეს მიიღო უჩვეულო მოვლენად, არც გამარჯვებულის დოინჯი შემოიყარა; გაქცეული კიდეც შეაქო „ჭკვიანი ყოფილაო“ და ასე ღირსეულად დაასრულა საბედისწერო საქმე.

ლაოსი, ვიეტნამი, კომუნისტურ იმპერიალიზმთან ბრძოლა და მისი აგრესიის შეჩერება; ჩამორჩენილი ქვეყნების დახმარება და ამისათვის სპეციალური ე. წ. „მშვიდობიანობის კორპუსის“ შექმნა, „ამერიკის პროგრესის ორგანიზაციის“ დაარსება, შიგნით შავკანიანების უფლებრივობის დაცვა, რომელსაც ერთხელ უკვე შეეწირა შეერთებული შტატების სასიქადულო პრეზიდენტი,—მოხუცებულების დახმარება, მთვარეზე გაფრენა და სხვა მრავალი კეთილშობილური მიზნები შეიცვდნენ მის ყოველდღიურ საქმიანობას.

პრეზიდენტმა კენედიმ თავისი მრავალფეროვანი და ღრმა შინაარსიანი მოქმედებით შეერთებული შტატები დიდ, მსოფლიო შარაგზაზე დააყენა და მას მაღალი იდეების და კეთილშობილური მოქმედების სული შთაბერა.

ასეთი თვალწარმტაცი და მიმზიდველი იყო პრეზიდენტი კენედი, როდესაც ნოემბრის 22-ს შეეხო მსახვრელის ხელი.

ჩვენი პრეზიდენტის სიკვდილში საამაყო და სანიმუშო ის არის, რომ სიკვდილმა უფრო ნათლად გამოამჟღავნა მისი დინჯი, მოფიქრებული, გაბედული და საკაცობრიო იდეალებს მიძღვნილი ბუმბერაზი ბუნება.

ბედის დაცინვაა, რომ ქრისტიანული ცივილიზაციის ამ მაღალ და საუკეთესო გამოვლინებას ტყვია ესროლა ათეისტმა, მატერიალისტმა და მდაბალი ბუნების ქვეწარმავალმა...

**გ. ზალდასტანიშვილი.**

## საით მიდის გაერთიანებული ერები?

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვავს აზრი, რომ შეუძლებელია მსოფლიოს ერთი ნახევარი ხარობდეს ეროვნული და პიროვნული თავისუფლებით და მეორე ნახევარში მძვინვარებდეს მონობა.

თავისუფლების სხივები თანაბრათ უნდა ეფინებოდეს ყველას. თითქოს ამ განზრახვით იყო შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია „გაერთიანებული ერები“.

უკანასკნელი ათი წელიწადი, მართლაც, ერთა განთავისუფლების იდეა ძლიერ ტალღად გადაიქცა. მწუხარებით აღსანიშნავია, რომ „თავისუფლების ტალღა“ მოედო მხოლოდ ქვეყნიერების ერთ მხარეს, კერძოდ დასავლეთის ყოფილ კოლონიებს და ჩვენი თვალის წინ წარმოიშვნენ ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ეროვნული შეგნება და არც არავითარი სახელმწიფოებრივი ტრადიცია.

გაერთიანებული ერების მთელი ეკონომმიურ-ფინანსიური შესაძლებლობა ხმარდება ეროვნულად, კულტურულად, ეკონომიურად ჩამორჩენილ ხალხს, და ხშირად, სამხედრო ძალაც კი, რათა ამგვარად წარმოშობილ სახელმწიფოებს შეაგნებინონ, რომ უნდა იქცნენ ერად და ჰქონდეთ საკუთარი, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო.

ქვეყნიერების მეორე ნაწილში კი სულ სხვა პროცესი მიმდინარეობს. საბჭოთა რუსეთს მონობის არტახებში ჰყავს გაკრული მაღალი კულტურის და დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციის ქვეყნები: რუსთაველის, გოეტეს, მიცკევიჩის, შევჩენკოს და სხ. წარმომშობ ერებს ვერა სწვდება თავისუფლების სხივები. დასავლეთი მორცხვი პატარძალივით თავსა ხრის ურცხვი ხრუშჩოვის ღრიალზე და აფრო-აზიური ახლად წარმოშობილი ერებიც დონბასის მუშაში ხედავენ თავისუფლების ფალავანს.

გაერთიანებულ ერებში მიღებული ყოველი რეზოლუცია ანტიკოლონიალური, თავისუფლების და თანასწორობის, გულისხმობს მხოლოდ აფრო-აზიურ ერებს და აქედან გამორიცხულია რუსეთის მიერ დაპყრობილი მაღალი კულტურის ხალხი.

საერთაშორისო საქმეებში კარგად ჩახედული ედგარ ა. მაურერი „დეილი ნიუსის“ დეკემბრის 16-ს ნომერში ეხება რა ამ შეუსაბამობას ასკვნის, რომ ამგვარ მდგომარეობას „გაერთიანებული ერები მიჰყავს სახელის გატეხისაკენ“. კომენტატორის აზრით „დაწოლა, რომელსაც ადგილი აქვს ბრიტანეთზე, საფრანგეთზე, ბელგიაზე, პორტუგალიაზე,—თანაბრათ უნდა იქმნეს გამოყენებული რუსეთის და ჩინეთის მიმართაცო. უკრაინას, საქართველოს, სასომხეთს და ტიბეტს უფრო მეტი მოთხოვნილება აქვთ დამოუკიდებლობის, ვიდრე როდეზიას, მოზამბიკს და ანგოლასო“.

სუსტი და ეროვნულად ჩამორჩენილი ხალხის თანადგომით, ხოლო ისტორიულად გამართლებულ ერების ყურადღების გარეშე დატოვებით, გაერთიანებული ერები ასცდა დასახულ მიზანს და აზიელების და აფრიკელების კუთვნილებათ გადაიქცა.

სახელმწიფოებრივი ტრადიციის და მაღალი კულტურის ქვეყნებში ამან უკვე დაკარგა თავისი ფასი და ღირებულება.

იმავე კომენტატორის აზრით „საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი გაერთიანებულ ერებს იხსენიებს „ის საგანიო“ და მას სთვლის ულოღიკო, მაცდურ მოვლენად, ან გაერთიანებული ერების კარიკატურად“.

გაერთიანებული ერების ერთი მთავარი მიზანთაგანი იყო ქვეყნიერებაზე მშვიდობიანობის, ეროვნული თვითგამორკვევის და დამოკრატიული პრინციპების აღიარება. ქვეყნიერების ერთ მესამედში კომუნიზმია გაბატონებული და ამ დესპოტიური ქვეყნების წარმომადგენლები განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობენ გაერთიანებულ ერებში. სადღაა დემოკრატიზმის აღიარება და მისთვის ბრძოლა? ხომ ყველასგან აღიარებულია, რომ კომუნიზმს არაფერი აქვს საერთო დემოკრატიზმთან და ეს ანტიდემოკრატიული მოვლენაა? ეს ხომ გაყალბებაა გაერთიანებული ერების წესდების და მისი მთავარი საფუძვლის? ამგვარი ანორმალური მდგომარეობა გაერთიანებული ერების სასარგებლოდ არ მეტყველობს და არც მის პრესტიჟს გაზრდის!

განუვითარებელ და ჩამორჩენილ ქვეყნების წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ სიმართლე მხოლოდ მათ მხარეზეა, რომ ეროვნული თავისუფლებაც, ეკონომიური დახმარებაც მხოლოდ მათ სჭირდებათ და გაერთიანებულ ერებში აფრო-აზიური უტრადიციო ერების უმრავლესობა ყოველთვის მიმართულია დასავლეთ-დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ. თუ რუსეთმა შექმნა უდიდესი და უმრისხანესი იმპერია, თუ რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები რუსის ჩექმის ქვეშ გმინავენ, ეს თითქოს, გაერთიანებულ ერებს არ ეხება, მის ინტერესებში არ შედის და ამაზე ყურს იყრუებენ.

ეს არის ის სუსტი ხაზი, რომლის გაყოლებაზეც ის უნდა დამარცხდეს... უნდა დამარცხდეს, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი მოვალეობიდან, ის ჩამოვიდა კერძო, აფრო-აზიურ, ანტიდასავლეთურ ორგანიზაციამდე.

გაერთიანებული ერების ამგვარმა საქციელმა, მისმა ცალმხრივობამ, მისმა მიდგომილობამ:— ერთ მატერიკზე ეროვნული თავისუფლების პრინციპის დაცვამ და სხვაგან მონობის და დესპოტიზმის ატანა-შეგუებამ, შეარყია მისი იდეური საფუძვლები და მას კულტურულ ქვეყნიერების და თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებში ნდობა დაუკარგა.

თავს-თავად ის ფაქტი, რომ ’დიდ“ სახელმწიფოები ცალკე შეხვედრებით და შეთანხმებით ცდილობენ მოაგვარონ სერიოზული, საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხები, გაერთიანებული ერების გაკოტრების აშკარა მღაღადებელია.

სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო ე. წ. „ჟენევის განიარაღები კომისია“, რომელიც წელთა განმავლობაში უშედეგოთ მუშაობს, რადგან გაერთიანებულ ერებს თავისი საკუთარი განიარაღების კომისია აქვს. არ იქნებოდა საჭირო მოსკოვში გათამაშებული კომედია ატომური ცდების ნაწილობრივი შეკვეცის გამო, რომელსაც შემდეგ თეატრალურად შეუერთდნენ განა, გვინეა, როდეზია და მსგავსი სახელმწიფოებრივი ტრადიციის ნაკლულოვანი ეროვნულად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნები. ამ კომედიის გარეშე დადგა მაღალი კულტურის და სახელმწიფოებრივი ტრადიციის საფრანგეთი, რომლის პრეზიდენტსაც სჯერა რეალური ძალის და არ მისდევს თავის შეძცევის პოლიტიკას.

არ იქნებოდა საჭირო ლაოსის, თუ სხვა საკითხებზე ცალკე შეთანხმებები, რადგან ყველა ეს,—წესდების მიხედვით,—გაერთიანებული ერების მოვალეობაში შედის... მაგრამ სხვა ნს სახელმწიფოებრივი ტრადიციის ქვეყნებმაც იგრძნეს გაერთიანებული ერების გზის აცდენა და „სერიოზული საკითხების“ მოგვარებას ცალკე,— ხელის შემშლელის გარეშე ცდილობენ.

მაშასადამე, აფრო-აზიური, ეროვნულად და კულტურულად ჩამორჩენილ ხალხების სიჭარბემ და დემოკრატიული პრინციპების მღალადებელ ორგანიზაციაში კომუნისტური დესპოტიის და რუსული მონური იმპერიის წარმომადგენლების ყოფნამ, საერთაშორისო ორგანიზაცია მოლიპულ გზაზე დააყენა.

ვისაც სწამს საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალი როლი და დანიშნულება, ვისაც სწამს მისი არსებობის აუცილებლობა და მისი ნაყოფიერი მუშაობით დაინტერესებულია, მან კიდეც უნდა იზრუნოს მისი პრინციპების განმტკიცებისათვის და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ გაერთიანებულმა ერებმა ერთი ადლით გაზომა, როგორც დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების კოლონიალური პოლიტიკა, ისე აღმოსავლეთის დესპოტია და რუსული დამპყრობელობითი მისწრაფება და ეროვნული თავისუფლების პრინციპი აფრო-აზიიდან რუსეთის მიერ დაპყრო-

## ხრუშჩოვის გასაჭირი.

(წერილი მეორე)

აქედან მოკიდებული ამ ორ სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის, გარეგნულად მაინც, დამყარდა გულითადი, კორდიალური განწყობილება. ამიერიდან ხრუშჩოვი და ტიტო, როგორც იტყვიან: ორნი არიან, ძმები არიან, ერთად დადიან, დაიმღერიან. ყოველ შემთხვევაში, ბელგრადი ყოველთვის ურეზერვოდ ადასტურებს, როცა ამის საჭიროებაა, ხრუშჩოვის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. განახლდა, რა თქმა უნდა, ეკონომიური ურთიერთობაც და საქონლის გაცვლამ ფართო ხასიათი მიიღო. ამასთანავე ძველებურად ხრუშჩოვის მღვიე სურვილია, რათა ამ ორ ქვეყნის პარტიათა შორის დამყარდეს უფრო მჭიდრო კავშირი, მით უმეტეს, რომ ორივენი დგანან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე. ამაზე ტიტო, რატომღაც, ყოველთვის ყურს იყრუებს და ფეხებს ითრევს. ხან კი კატეგორიულად უარყოფს რაიმე ორგანიზაციული კავშირის დამყარებას საბჭოთა კვშირის კომუნისტურ პარტიასთან.

რათა ტიტოს გული მოეგო და დასახული მიზნისათვის მიეღწია, რათა ტიტო საბჭოთა კავშირის ორბიტში დაებრუნებინა, ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, და მზად იყო, საგრძნობლად შეემსუბუქებინა სოციალისტური ბანაკის საოკუპაციო რეჟიმის სიმკაცრე, სატელიტ სახელმწიფოებისათვის მიენიჭებინა ფართო ავტონომია, ხელი აეღო შინაურ საქმეებში უხეშად ჩარევაზე და პოლიტიკურ ზეგავლეინს მექანიზმი, შეძლების ფარგლებში, შეერბილებინა.

მაგრამ ხრუშჩოვმა ეს დაპირება ვერ შეასრულა და თავის ახალი პროგრამის ცხოვრებაში გატარება, ტიტოსთნ შეუთანხმებლად, მოულოდნელად შეაჩერა, რადგან იცოდა, რომ ამგვარ ლიბერალურ პოლიტიკას მოჰყვებოდა საოკუპაციო რეჟიმით გაღიზიანებულ და გაბრაზებულ დაპყრობილ ერებში ანტირუსული მოძრაობის გაძლიერება და მოსალოდნელი იყო არა რუს ერების აჯანყებაც.

საფრთხე მეტად თვალსაჩინო და ხელშესახები იყო. ხრუშჩოვს, შეიძლება, მართლაც სურდა მცირე რამ მაინც გაეკეთებინა, კომპრომისზე წასულიყო, „კეთილშობილ ჟესტისთვის“ მიემართა, რათა იუგოსლავიის სიმპატია და თანაგრძნობა გამოეწვია. მხოლოდ ის ამას ასე ხელაღებით ვერ ბედავდა, ერთბაშათ მიეშვა სახალხო დემოკრტიები და ისენი თავის ნებით დაეყენებინა ტიტოსებურ დამოუკიდებლობის გზაზე.

როგორც ყოველთვის, ხრუშჩოვი წინაალმდეგობის რკალში მოემწყვდა: ერთის მხრივ, მისთვის ძნელი იყო ტიტოს დამოუკიდებელი პოზიცია გაემართლებინა, მეორეს მხრივ, მოსკოვის მიერ დპყრობილ ერებისათვის აეკრძალა არ წასულიყვნენ თავისუფლების და დამოუკიდებლობის გზით.

ამას უნდა დაემატოს, რომ იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიის ლიდერობა არ ჩქარობს მოსკოვის მიერ დაგებულ ანკესზე წამოგებას და თავისუფალ მოქმედების შესაძლებლობის დაკარგვას. ამასთან ერთად, მომარჯვებულად დაიპყრო განსაკუთრებული პოზიცია მთელ მსოფლიოში და საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრის სიმპატიებითაც სარგებლობს, რადგან იუგოსლავია სიმბოლოდ გახდა დაპყრობილ ერების თავისუფლებისთვის ბრძოლისა და მათი ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების. ამრიგადვე ტიტოიზმი გახდა სხვანაირად სოციალიზმის მშენებლობის მისაბაძი მაგალითი, უწინარეს ყოვლისა, ერთ იმ მოძრაობად, რომლის მტკიცე გადაწყვეტილებაა: სოციალისტურ ბანაკის გარეშე ყოფნით, უზრუნველ ჰყოს საკუთარი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოება მოსკოვისაგან ყოველგვარ ჩარევის და ხელყოფისაგან. ასეთმა განსხვავებულმა პოზიციამ, იუგოსლავიას საპატიო როლი მოუპოვა ნეიტრალურ სახელმწიფოების რიგებში და ამიერიდან ის მათი ერთადერთი ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელია ინტერნაციონალურ ძალთა განწყობილების ორიენტაციაში.

ამასვე უნდა დაერთოს, უკანასკნელად ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პრტიათა შორის იდეოლოგიური დავის გამწვავება. რაც ბუნებრივად იწვევს მოსკოვ-ბელგრადის დაახლოვებას და კოოპერაციას ზოგიერთ საერთო ხასიათის საკითხებში მაინც, რადგან ჩინელების ბრძოლა მიმართულია, როგორც ტიტოს, ისე ხრუშჩოვის წინაალმდეგ. მართლი ტიტო დიდი ხანია ჩინელ კომუნისტების მიერ მიზანშია ამოღებული, როგორც გაუსწორებელი რევიზიონისტი, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის რენეგატი, ან როგორც იტყვიან: ტარიგი შესაწირავი, იდეოლოგიურ სამსხვერპლოზე, ხრუშჩოვის მაგიერ მიტანილი. ამდენ ხანს უკანასკნელის ავად ხსენებას გაურბოდნენ და მის ნაცვლად მთელი რისხვიდ როგორც დაბალ ლობეს ,ტიტოს ახტებოდნენ. ეხლა აშკარად, მოურიდებლად, ხრუშჩოვს ტიტოს ადეპტათ სთვლიან და ორივეს, ლენინის გამოთქმით, „კომუნისტ პროლეტელების“ ბანაკში ათავსებენ. კიდევ მეტი, ჩინელები ლაპარაკობენ სოციალისტურ ბანაკზე და საბჭოთა კავშირს ბრალს სდებენ, რომ მის ინტერესებს ვერ იცავს და ცუდათ მართავს საერთო საქმეებს, ე. ი. უმწეოა უხელმძღვანელოს ნამდვილ მარქსიზმ-ლენინიზმის გზით ანტი-იმპერიალისტურ ბრძოლას, კოლონიალურ ხალხების მონობის უღლიდან განთავისუფლებას, კაიპტალიზმის დაგმობის და მსოფლიოში კომუნიზმის დამყარებას. ჩინელების აზრით, ხრუშჩოვს უნარი არ შესწევს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ სიწმინდის დაცვის და თავის ოპორტუნისტული, რევიზიონისტული და კაპიტალისტურ შემარიგებელ პოლიტიკით, ის საბჭოთა კავშირს და სოციალისტურ ბანაკს კომუნიზმის ლიკვიდაციის და კაპიტალიზმის აღდგენისაკენ მიაქანებს. ამიტომ ის უნდა გადადგეს ხელმძღვანელობიდან, რომ შესაძლებელი გახდეს კომუნისტურ პარტიათა მორიგება და მთლიანობის აღდგენა.

ხრუშჩოვის გასაჭირი ბევრნაირია. დასაძლევი აქვს ბევრნაირი დაპრკოლებანი, როგორც ჩინეთის მხრით, ისე სატელიტ სახელმწიფოების მიმართ. ჯერ იუგოსლავიამ სტალინის სიცოცხლეშივე აირჩია თავისუფლების გზა და შემდეგ ხრუშჩოვს ბევრი ცდები დასჭირდა მისი სოციალისტურ ბანაკში დასაბრუნებლად, რაც დღემდე ამაოდ და უშედეგოდ რჩება. სტალინის მიერ ჩაღრმავებული უფსკრული ეხლაც ამოუვსებელია. მას მიემატა ალბანეთი, ჩინეთი, რუმინია და სხვები, უსათუოდ, რიგში დგენან, ბედნიერ შემთხვევას ელოდებიან, რათა კრემლის ბატონობას და ძალადობას თავი დააღწიონ. ამით არის გამოწვეული ტიტოს წინაშე ნიკიტას წამოჩოქება, მათი დაახლოვება და საერთო ენის გამონხვის ცდა. ტიტოს მეშვეობით ნეიტრალურ ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობის ორბიტში შემოყვანა და მათი დახმარებით თავისუფალ მსოფლიოზე ზეგავლენის მოხდენა. უფრო მეტად კი ხრუშჩოვს ტიტო სჭირდება სატელიტ სახელმწიფოებში გაძლიერებულ ავტონომიურ მოძრაობის შესაჩერებლად და დასაშოშმინებლად, სოციალისტურ ოჯახში ანტაგონიზმის შესანელებლად.

მაო-ცე-დუნის ჩინეთი, ხრუშჩოვს ჯერ კიდევ ბევრ სურპრიზს უმზადებს. ჩინეთის საფრთხე, მართლაც ძლიერია, რეალურია, მხოლოდ არა მახლობელ დროისთვის, არამედ ის უფრო შორეული მომავლისთვის არის მოსალოდნელი. უამრავი ზიგზაზებით, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით, დაღარული მათი ურთიერთობა, თუნდაც გამწვავებული, უფრო გაჟეჟილს გავს, ვიდრე გატეხილს, საბოლოოდ გაწყვეტილს. თუ ხრუშჩოვს ორ პოლიტიკურ-სოციალურ სისტემის—სოციალისტურის და კაპიტალისტურის მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებლად მიაჩნია, ამ ჟამად მაინც, და თითქოს ახლა ამ გზას ადგია, მაოსათვის ეს თანაარსებობა, არამც თუ კაპიტალისტურ სამყაროსთან, არამედ კომუნისტურ საბჭოთა კავშირთანაც, შექმნილი მდგომარეობის გამო, მიუღებელია და ჩხუბის გუნებაზეა.

ოღონდაც, ჩვენც ფხიზლად უნდა ვიყვეთ და ილუზიებს თავის დროზე დაუდვათ საზღვარი, რადგან კომუნიზმის ბელადთა აბრუნდიუკულმა შეტრიალება, არც სასირცხვოა და არც საძრხისი. მათი ასეთი საქციელი საყოველთაოდ ცნობილია და ნუ გაგვიკვირდება, რომ გუშინდელი მტრები ხვალ ისევ მეგობრები გახდნენ. ასეთ მოულოდნელობებს ყოველთვის უნდა მოველოდდეთ!

აქვე საჭიროთ მიგვაჩნია სხვებიც გავაფრთხილოდ: დასაშვებია, რომ კრემლის დიქტატორებმა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულონ და რამდენათაც ეხლა გულმოდგინეთ ცდილობენ თერმოატომური ომის საშიშროების შემცირებას, იმდენათვე, იმავ ენერგიით, პარალელურად გააგრძელონ თავისუფალ მსოფლიოს დამანგრეველი მუშაობა. არ დაზოგავენ არავითარ საშუალებას კომუნიზმის გასავრცობად, არც მატერიალურ საღსარს დაიშურებენ, პროპაგანდის, საჯაშუშო და ფარული მუშაობის, ან, რასაც საბჭოელები უწოდებენ, ’ეროვნულ განმათავისუფლებელ ომების“ გაჩაღებას, მშვიდობიან თანაარსებობის ქვეშ.

მაშასადამე, ჩინეთთან დავა, სატელიტებთან უთანხმოება, პარტიის შიგნით გამწვავებული მგომარეობა სოციალისტურ ბანაკს დანგრევით ემუქრება. ხრუშჩოვს, მისი შერყეული ფრონტის გამოსწორება ტიტოსთან მისვლას და დაჩოქებას უკარნახებს. მთელი მისი იმედები ნეიტრალურ სახელმწიფოების მიმხრობაზეა დამყარებული, მორალურ-პოლიტიკური წონასწორობის აღსადგენად.

როგორც ვხედავთ, ხრუშჩოვის გასაჭირი არც ისე მარტივია, მას თან ახლავს სირთულე და სიძნელე. სულ ახლო მომავალი დაგვანახვებს, ადრიატიკის ნაპირებზე ჩაწყობილი გეგმები, მირაჟებად დარჩება, თუ რეალობად იქცევა.

**ს. ჭირაქაძე.**

## ხაით მიდის გაერთიანებული ერები?

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

ბილ ტერიტორიებზეც გადაიტანა.

ამის გარეშე საერთაშორისო ორგანიზაცია გადაიქცევა იმ საპნის ბუშტად, (მსგავსად ჟენევის ერთა ლიგისა) რომელიც პირველი შებერვისთანავე გასქდება.

**დონი.**

## ფიქრები წამებულ დედოფალ ქეთევანზე.

(ერთი წიგნის გამო)

(დასაწყისი იხ „ქართული აზრი“ №59-60)

კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ შახაბაზმა კახეთის უფრო მეტი მტრობა ჩაიდო გულში და მზაკვრულად მისი სრული მოსრნა და გაუკაცრიელება გადასწყვიტა. მაგრამ ჯერ საამისო მარჯვე დროს უცდიდა, ხოლო მანამ კი, თვალთმაქცურად, ქეთევან დედოფლის თხოვნა დააკმაყოფილა და მისი ვაჟი, 16 წლის თეიმურაზი, კახეთში გაამეფა. ამასთანავე შახაბაზმა ქეთევანს კონსტნტინეს მოკვლის გამო ცბიერად აუწყა: „მის მკვლელს ხელიც შერჩებისო; მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო“. (იხ. ფარსადან გორგიჯანიძეს ისტორია) და ეს მის შემდეგ, რაც სწორედ ამ შახის საგანგებო და **პირადის დავალებით** შესრულა კონსტანტინემ მამისა და ძმის ვერაგული მკვლელობა.

თეიმურაზის გამეფების შემდეგაც, ქეთევანი სუვერენულად განაგებდა და მფლობელობდა კახეთს და კერძოთ ქართლის შემომტკიცებაზეც კი ოცნებობდა... ქეთევანის გავლენის შესახებ მკვლევარი ზ. ავალიშვილი იმოწმებს რა მაშინდელ ინგლისელ დიპლომატების ჩანაწერებს, დასძენს: „ქეთევანი ყოფილა კონსტანტინეს წინაალმდეგ წარმოებულ **ბრძოლის სულის ჩამდგმელი...** საერთოდ,უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ყოფილა თავის დროზე კახეთის სამეფოს გამგებელი და მონაწილე სამხედრო და სამოქალაქო საქმიანობის. ისეთი **სრული იყო მისი დედოფლობა,** რომ სპარსელებს „დედუფალ“ მისი სახელი ეგონათო. (იხ. „თეიმურაზ 1-ლი“ გვ. 32).

მზაკვარ შახაბაზს ქეთევანის გეგმები და ზრახვები არ გამოპარვია და 1614 წ. ლაშქრობის წინ თეიმურაზის ვაჟების—ლევანის და ალექსანდრეს მძევლობასთან, მან ქეთევანიც მოითხოვა. ქვეყნის აოხრების შიშით შვილიშვილებთან ერთად ქეთევანი თვითონ ეახლა შახს და მან სამივენი მყისვე სპარსეთს გააგზავნა... მაგრამ ამ დათმობამ უფრო უარეს დღეში ჩააგდო კახეთი. იგი ზედიზედ იქმნა შახაბაზისაგან აოხრებული, გაუკაცრიელებული და უამრავი ოჯახები აყრილი და სპარსეთში გადასახლებული. „რამეთუ“, იტყვის ისტორიკოსი და მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი „იყო შაჰაბას ცბიერი, ხუანჯიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკვიდრეთა“. (137).

ამ დროს წელში გაწყვეტილ ქვეყანას ღირსეული დედოფალი პირადის გმირულის სიმტკიცით და სასტიკი წინააღმდეგობით ერს მაგალითს აძლევდა. ეს ქალი შირაზის უსაშინელ ტყვეობაში მაინც მხნედ და ურყევად იდგა და მრისხანე შახაბაზის შეტევებს გააფრთებულ წინაალმდეგობას უწევდა. ამ ხანებში ქეთევანს, რომელს ბაგრატიონთა პოეტური ნიჭი არ აკლდა, ლექსიც უთქვამს, რომელშიც მისი დიდი მწუხარებაა აღბეჭდილი. ცნობილ დავით რექტორის მიერ შედგენილ, თუ გადაწერილ კრებულში: „სხვათა და სხვათა მეშაირეთაგან თქმულ ლექსებში“ მოყვანილია დედოფალ ქეთევანის ლექსი „მუნ პყრობილებაში“ ამბობს ჩვენი პოეტი და კალიგრაფი დავით რექტორი: „მწუხარემან სთქვა ფისტიკაურად“. ეს ანბანთქება დედოფლისა ექთ. თაყაიშვილს მოჰყავს თავის „აღწერებში“ „ამას ვსტირი ბნელსა მჯდომი“, მოსთქვამს ტყვე დედოფალი,

„გულთა მდუღრად დადაგული,
ესრეთ ვება, ვის მოება, ზედი-ზედა
ჰე, დართული“ და სხ. (იხ. „ოპისანიე“ გვ.200)

დედოფლის ეს ლექსი სხვა მკვლევართაც მოჰყავთ და ბოლო ხანებში ლ. ასათიანსაც, მაგრამ ოდნავის ცვლილებებით. (იხ. ლ. ასათიანის „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“ გვ. 26).

***

ქეთევან დედოფლის დიდი გავლენის ქვეშ აღზრდილი მისი შვილიშვილები ლევან და ალექსანდრე, (თეიმურაზის ძენი) დიდ მხნეობას და სიმტკიცეს იჩენდნენ... ისენი ათასგვარ წარჩინება-ფუფუნებაზე უარს ამბობდნენ და დიდ წამებას იტანდნენ ძვირფას გამდელთან და ბებიასთან ერთად. ამან შახი უფრო მეტად გააფთრა და მან, ქეთევანის ნების გასატეხად, ისინი გაასაჭურისა. საბრალო ლევანი ამის შემდეგ ჭკუაზე შეიშალა, ხოლო ალექსანდრემ წამებას ვერ გაუძლო და ტანჯვაში დალია სული. ასე ტრაღიკულად დაეღუპა თეიმურაზს მისი საყვარელი მემკვიდრენი შორეულ სპარსეთში. მაგრამ ვერც ამ შემზარავმა ამბავმა შეარყია დედოფალ ქეთევანის წინააღმდეგობა. იგი ძველებურად მტკიცედ იდგა და სპარსეთის ძლიერ შახს ქედს არ უხრიდა. არ იცვლიდა რჯულს, არ განდგომია თავის ქვეყანას და მათთვის გმირულად ავიდა ეშაფოტზე.

***

მწერალი ქალი ქეთევან ირემაძე რომანის უკანასკნელ თავში („კოცონი“) გვაუწყებს, რომ უკვე შავი ზეწარით დაბურულიყო დედოფლის ბედის ვარსკვლავი; რომ მისი წინაგრძნობა საშინელ აღსასრულის შესახებ, მოჭარბებით მართლდებოდა. აღსრულდა! იგი საქართველოს ტარიგი გახდა და 1624 წელს 13 სექტემბერს გაუტეხელი ქართველი დედოფალი შახაბაზის საგანგებო ბრძანებით უსაშინელესი წამებით მოჰკლეს.

როგორც ვსთქვით, მისი წამება დიდი სინამდვილით ზოგ ევროპელ მწერლებთან ქართველებსაც ბევრჯერ გადმოუციათ და მათში, ყველაზე მკვეთრად და დრამატიულად მის საკუთარ შვილს, უბადლო მგოსანს და დატანჯულ მეფეს, თეიმურაზს: „მერმე გაუბეს ხელფეხი“, გვაცნობს მგოსანი საყვარელ დედის და დედოფლის საშინელ წამებაზე.

„გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი,
დასდვეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდვეს,
ყველა ქმნეს მათი აჯები...
ქვეშ დაუფინეს, დახურეს,
ზედან ლურსმნისა რკინანი,
ქვე წაიარეს, გააპეს
ბროლი, ლალი და მინანი...
სხვა წამოასხეს, დაჰყარეს
ხორცთაგან ტყავნი წინანი“ და სხ.

კლასიკურ პოეზიაშიც სულხან-საბა ორბელიანსაც ასეთივე სიმძლავრით გადმოუცია ეს გულგამგმირავი სურათი დედოფლის ტანჯვისა, რომელსა „მოჰკაზმიდნენ შვენიერად, შეუქმოდნენ ფისსა ზილფად, ცხელ შამფურებს ქინძისთავად... ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად“

***

მაგრამ დღეს მწერლობაში, ჯერ ხანად მაინც ისე მძაფრად და ისტორიულის რეალიზმით არავის გაუშლია ჩვენი დედოფლის გმირული თავდადება, როგორც უდროოდ დაღუპულმა ახალგაზრდა მწერალმა ქალმა, ქეთევან ირემაძემ შესძლო... „კოცონში“ სრულის სიდიადით მოსჩანს ქეთევან დედოფლის გაუტეხელი, ამაყი და ამტანი ბუნება და ნება. მისი შეურყეველი, სალკლდესავით მყარი ერთგულება ერისა და რჯულისადმი და ყველა ამისთვის მოწამებრივი სიკვდილი დედოფლისათვის **„უმაღლეს ჯილდოთ“** ქცეულა. ქეთევანი გახურებული შანთებით დადაღული, მარწუხებით დაგლეჯილი, მაინც ბოლომდე მტკიცე რჩება. **სწორედ ამ სიმტკიცით ის ამარცხებს არა მარტო ძლევამოსილ შახაბაზს, არამედ თვით სიკვდილსაც.**

მოკვეთილად და იშვიათი სინამდვილით გადმოუცია ავტორს დედოფლის საწამებლად მოყვანის სურათი: „ხალხით სავსე მოედანზე ტრახტევანდის საგდული გაიხსნა და შავით მოსილი მანდილოსანი ძირს გადმოვიდა; ცვილისფერი, ნატიფი, მაგრამ ნაწამები სახე უფრო უკარებლად, მტკიცედ და თან სასოებით ინაკვთებოდა თალხ ღართზე. შუაგულთან ელვარებდნენ ქარვის ფერი თლილი ხელები და ოქროს ჯვარცმა. მის დანახვაზე ხალხი შეირხა... ნასახჩიბაშმა ბრძანა და მყისვე ოთხ ადგილას პალო დაასვეს ჩუქურთმიანი. სარბაზები შესავალთან ჩამწკრივდნენ. ღულამებმა შუშა ზვინ-ზვინად მოიღეს. ხელ და ხელ ალმაღალი ცეცხლი აღაგზნეს; შიგ შანთები, მარწუხები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „არა მკითხე მოამბენი...“

(წერილი მესამე).

შემდეგ „სამშობლოს ხმა“ გვასწავლის, რომ თურმე საქართველო მდიდარი ქვეყანაა... „საქართველოს თავისი სამრეწველო პროდუქცია გააქვს საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანაშიო“. ილია იტყოდა „ქრისტე ღმერთმა სიუხვისა და სიკეთის კალთა აქ დაიბერტყაო“ ქართული მიწა რომ ნოყიერია და მისი წიაღი გამოულეველი სიმდიდრით სავსე, ამაში არავითარი დამსახურება არ მიუძღვის არც ერთ ქართულ თაობას, მით უმეტეს ამას ვერ „დავწამებთ“ „უფროს ძმა“ რუსებს. ჩვენი მამა-პაპათა დამსახურება შთამომავლობის წინაშე მხოლოდ ის არის, რომ ისინი შეუპოვრად თავდაუზოგველად იბრძოდნენ, რათა ნოყიერი მიწა დამის წიაღში დაგროვილი დოვლათი არც ერთი მილეთის დამპყრობელისათვის არ დაეთმო და ის ქართული შთამომავლობისათვის შემოენახა. „სამშობლოს ხმის“ რედაქცია კი ამაყობს, რომ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მპყრობელ, რუსეთს, საქართველოს დოვლათი „50-ზე მეტ საზღვარგარეთის ქვეყნებში გააქვთ“. იქნება ამაზედაც გვიპასუხონ, რომ ძმურად შეკავშირებულ რესპუბლიკებში „უფროსი ძმა“, ვანკა“ და „პეტკა“ მხოლოდ ხელის შემწყობია ჩვენი ეროვნული დოვლათის „50-ზე მეტ საზღვარგარეთის ქვეყანაში გასატანად. ამ შემთხვევაში, იქნება კეთილი ინებოს „სამშობლოს ხმამ“ და გამოაქვეყნოს, თუ რამდენია საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი და რა ბიუჯეტს აძლევს მოსკოვი მას? თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოს ბიუჯეტი მოსკოვში მტკიცდება სუვერენობის მღაღადებელი არ არის, მაგრამ რუსული იმპერიალიზმის ქართულ ენაზე საპროპაგანდო ორგანოს რედაქციას ამდენს ვერ მოვთხოვთ!

„სამშობლოს ხმა“ ამ შავბედით განცხადებას ზედ ადგავს: 'საქართველო ეხლა წერა-კითხვის მცოდნეობის ქვეყანაა. მარტო საშუალო სკოლებში 700 ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს... საქართველოს აქვს თავისი ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, რომელშიც 180-მდე მსხვილი სამეცნიერო დაწესებულებაა გაერთიანებულიო“ და სხ.

„სამშობლოს ხმას“ რედაქციას რაიმეს ცოდნა, ან დასაბუთება არ მოეთხოვება, მაგრამ, რომ ეკითხათ იმ მეცნიერებისათვის, რომელთა სახელითაც ეს არამეცნიერული წერილი დაიბეჭდა, ისენი ადვილათ აუხსნიდნენ, რომ საქართველოს ორმოც საუკუნოვან ისტორიის მანძილზე წარმოებულმა ბრძოლებმა; გამარჯვება- დამარცხებებმა შექმნეს ტრადიცია, რომ ყოველ პირობებში, შეძლების და გვარად კულტურული მუშაობა არ შეაჩერონ. ჩვენი სახელოვანი მეცნიერები დაუმტკიცებდნენ, რომ თვით მონგოლების დროსაც მთლიანად არ შეჩერებულა ქართული კულტურის წინსვლა და მას თავისი ქურუმები იმ დროსაც ჰყავდა.

დღევანდელი ჩვენი მეცნიერების უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის, რომ ამ უძნელეს პირობებში ისენი აგრძელებენ ტრადიციას და ახერხებენ მეცნიერულ შემოქმედებას. მათ სასახელოდ და ჩვენდა სანუგეშოდ უნდა ვთქვათ, რომ მიღწევებიც დიდი აქვთ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად ფართო იქნებოდა მათი შემოქმედების ასპარეზი და რამდენათ დიდი იქნებოდა მიღწევები, რომ მათ თავისუფალი შემოქმედების უფლება ჰქონდეთ.

„სამშობლოს ხმის“ რედაქციას თვით ამ წერილზე ხელისმომწერი მეცნიერები შთააგონებდნენ, რომ „უფროსმა ძმამ“ „ვანკამ“ საუკუნე ნახევრის წინ წაგვართვა სკოლაც და ეკლესიაც და მის აღდგენას „რუსის ხიშტი“ ეღობებოდა. მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის წყალობით დაინგრა რუსული იმპერია და საქართველოსაც შესაძლებლობა მიეცა კვლავ ჩაბმულიყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ შემოქმედებით მუშაობაში და ქართულ ნორჩ თაობასაც სკუთარ ენაზე სწავლა განათლების შესაძლებლობა.

რუსეთის რევოლუციამდე საქართველოში არსებობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რამოდენიმე პირველ დაწყებითი სასწავლებელი და ორი ე.წ. „სათავადაზნაურო“ გიმნაზია. ყოველივე ეს იყო კერძო წამოწყება, მესამოციანთა დასის და მისი ღირსეული მეთაურის,—ილიას დაუღალავი შრომისა და ბრძოლის შედეგი.

მხოლოდ „უფროსი ძმა“ „ვანკას“ მოშორებით გახდა შესაძლებელი სწავლა-განათლების გაეროვნება. 1919 წ. გამოვიდა კანონი საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლის შესახებ. გაიხსნა პირველდაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები. 1919 წ. სექტემბრისათვის საქართველოში უკვე არსებობდა ქართული უნივერსიტეტი, სადაც თავმოყრილი იყო მთელ რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერ-პროფესორები. ამავე დროისათვის საქართველოში ირიცხებოდა (ქალაქების გარდა) 1500 მეტი პირველდაწყებითი სასწავლებელი ორასი ათასი მოსწავლით, თუ ამას მიუმატებთ ქალაქებს, საშუალო სკოლებს და ტექნიკუმებში მოსწავლეთა რიცხვს, მაშინ ნათელი გახდება, რომ „სამშობლოს ხმის“ მიერ დღევანდელ 700 ათასი მოსწავლე, 1919 წ. შედარებით დიდი წარმატება არ არის. მიუხედავათ ამისა, მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, რა ემართება 'მთლიანი განათლების“ ქვეყნის მკვიდრებს? რატომ არის თვით კომუნისტური (თბილისის) გაზეთების ცნობით ამდენი რუსების ჩამოსახლება საქართველოში „ტექნიკოსების ნაკლულოვანების“ გამო? ჩვენ ვიცით მეორე სავალდებულო კანონიც, რომელიც „უფროსმა ძმამ“ ქართველებს თავზე მოახვია: კურს დასრულებული ქრთველი ახალგაზრდა იგზავნება რუსეთში; ამით არის გამოწვეული „ტექნიკოსების ნაკლულოვანება“ და თითქოს რუსების ჩასახლებაც. 1926 წ. აღწერით საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2% იყო რუსი, დღეს იგი 15% აღემატება. მაშასადამე, ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში იგზავნება და იქ რუსულ მასაში ითქვიფება, მათ ადგილს საქართველოში რუსები იჭერენ, საქართველოს სახელმწიფო მეურნეობას რუსეთი ისაკუთრებს და აქედან მხოლოდ 25% „სახელმწიფო ბიუჯეტად“ მოსკოვი უბრუნებს ქართველ ერს და „სამშობლოს ხმა“ ამას ეძახის სუვერენობას და „ძმურ კავშირს“!?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ნიჭი ყველა პირობებში იჩენს თავს და ამაში „უფროსი ძმის“ დამსახურება მხოლოდ მისი შებორკვაა. ჩვენი სახელოვანი მეცნიერების შემოქმედების დღევანდელი გამოვლინება ის მინიმუმია, რომელიც „უფროსმა ძმამ“ ველარ შეკვეცა, ველარ წარგვტაცა.

ჩვენ რომ ქართული ნიჭის და შემოქმედების განსაკუთრებულ უნართან არა გვქონდეს საქმე, მაშ რით უნდა აიხსნას, რომ სამშობლოს მოწყვეტილ და სიღატაკეში აღზრდილ ქართველებმა,—ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერა გაიკეთეს?

გადახედეთ გერმანიაში ძმებ ივ. და ალ ნიკურაძეების და ეხლახან გარდაცვლილ მიხ. ახმეტელის სამეცნიერო მიღწევებს; საფრანგეთში მიხ. მუსხელიშვილს, არგენტინეში ლ. ჭეიშვილს... შეერთებული შტატები? აქ ხომ არა ერთი და ორია! ჯერ წელიწადიც არ არის რაც გარდაიცვალა ფილადელფიის სახელგანთქმული პროფესორი ილ. გოპაძე, ნიუიორკის უნივერსიტეტში—რ. ჟორდანია, კოლუმბიაში—გ. ნაკაშიძე, პრისტონში—დ. ჯაფარიძე, კალიფორნიაში—თ. წულუკიძე. შეიხედეთ ჰარვარდში რა შუქურვასკვრლავივით ბრწყინავს ახალგაზრდა მეცნიერი ო. ზალდასტანიშვილი! „სამშობლოს ხმის“ გამოთქმით „ათიოდე დარჩენილ ემიგრანტებ შორის“ რამდენი მეცნიერი და პროფესორი?

ინჟინრები, ექიმები, ვექილები და სხვა? ამის ჩამოთვლას მთელი გაზეთი ვერ დაიტევს. ერთს კი აღვნიშნავთ სამშობლოს ხმის“ ცნობისათვის, რომ სამხედრო თვითმფრინავები, რომელსაც შეერთებული შტატებიდან გულუხვად ღებულობდა რუსეთი და რომლის წყალობითაც ის გამარჯვებულთა რიგებში ჩადგა,—ქართული ნიჭის შემოქმედება იყო. ამის გამო პრეზიდენტმა რუზველტმა სწორედ „ორ გზით დააჯილდოვა“ ჩვენი თანამემამულე ალ. ქართველიშვილი.

უფლისგან არის კურთხეული ქართული ნიჭი და უნარი და ამას ისევე ვერ წაგვართმევს რუსი, როგორც ვერ წაგვართვა ვერც ერთმა დამპყრობელმა.

„1921-1959 წლებში გამოცემულ იქმნა 50.000-მდე (საკვირველია, რომ ყველაფერი „მდე“, „აღემატება“ და არასოდეს ზუსტი ციფრი არ იხმარება საბჭოეთში!) სახელწოდების წიგნიო“, რაც 8-ჯერ აღემატება წიგნთა იმ რაოდენობას, რაც გამოცემული იყო თითქმის 300 წლის განმავლობაშიო“, აცხადებს რუსული იმპერიალიზმის დაქირავებული ორგანო.

სიბეცეა, უვიცობა, თუ მონური სულის გამომჟღავნება? შეიძლება ყველა ერთად?

ნუ თუ შეიძლება დღევანდელი სათვალეებით გადავხედოთ განვლილ სამას წელს? სამასი წლის წინ შეერთებული შტატები ხომ სულ არ არსებობდა და თვით რუსულ კულტურულ შემოქმედებასაც ვერ მეტყველობენ დარჩენილი ძეგლები. ბელინსკის აზრით რუსულმა ლიტერატურამ ფეხი აიდგა მხოლოდ 19- საუკუნეში. აბა გვიბრძანეთ რამდენი წიგნი დაიბეჭდა რევოლუციამდე რუსეთში? ამ ხნის განმავლობაში წარმოიშვა შეერთებული შტატები, რომლის დაწევა-გადასწრებაში სულსა ლაფავს ნიკიტა. შეერთებულ შტატებს ამ უდიდესი მიღწევებისათვის არ დასჭირებიათ არც ართი თავისი მოქალაქის დასჯა, გადასახლება, იძულებითი სამუშაოები და მით უმეტეს დახვრეტები. საბჭოთა კავშირმა კი მთელი თავისი მოსახლეობა მონათ აქცია და მონური შრომით შექმნა საპროპაგანდო „მიღწევები.

„ეხლა ნახეთ ქართული მეცნიერება, ქართული ლიტერატურა და ხელოვნებაო“, ამაყად გადმოგვძახის 'სამშობლოს ხმა“.

მართლაც გვინდა ვნახოთ და მკითხველსაც ვაჩვენოთ თუ რა მონობის არტახებში ჰყავს გაკრული „რუს უფროს ძმას“ ქართველი შემოქმედნი.

(გაგრძელება იქნება).

**ვ. სანგულია.**

---

საჯები შეაწყვეს. შაჰბუზმა რვალის ქვაბი შუა ცეცხლში ჩადგა. ჰუსეინ ალი მირზამ ფირმანის კითხვა იწყო... და ოდეს ჯალათნი მის საწამებელ საშინელ იარაღებს განაწყობდნენ და კოცონს აჩაღებდნენ, „იდგა ქეთევანი, ყოველგვარი ჩრდილი სევდისა წაშლილიყო მის სახეზე. ბაგეზე კი იდუმალი ლოცვა უთრთოდა: „მომივლინე ანგელოზი, მცველი სულისა ჩემისა და მიითვალე სული ჩემი და განმილე კარი სასძლოსა შენისა და აღმაცხე მე გუნდისა თანა მოწამეთა შენთა“... და აქ ჰუსეინ ალი მირზა, დესპანი შახისა, უკანასკნელად ურჩევს განაწამებ დედოფალს: ეხლა მაინც, 10 წლის ტყვეობის შემდეგ, სასიკვდილე კოცონის წინაშე, გონს მოვიდეს და აურყოს რჯული მამა-პაპათა... თვალანთებულნი ჯალათნი ქალისაკენ წარიმართნენ. **ისევ იდუმალი** ლოცვა ათრთოლდა ქეთევანის ბაგეზე.

მის მშვიდ სახეს წმინდა შარავანდედი მოჰფენოდა და ოდეს სამოსის გახდა დაუწყეს განძვინდა; მაგრამ ხელები გაუკრეს და ტანთ გაქარცულს იესოს ჯვარი შეაგლიჯეს, შუა ცეცხლში გადაისროლეს... წითლად ავარვარებული მარწუხი ძუძუებთან მიიტანეს, გახურებული რკინის ჯაჭვი წელს შემოავლეს. შანთის, თუ მარწუხის ყოველ მიკარებაზე წელში იხრებოდა, კვლავ იმართებოდა და დათუთქული ხელებით სიშიშვლეს ებრძოდა.

„უარყავ, უარყავ მასიჰ!“ დასჭყივლა მუშტაიდმა...

„უარყავ!“ აღრიალდა ბრბო და ეს შეძახილი გრგვინვასავით მოედო მთელ მოედანს, მიწა აზანზარდა...

„უარყავ!“ დაფდაფნიც ღრიალებდნენ.

„უარყავ!“ კვლავ გუგუნებდა ხალხი; ამ გუგუნმა გამოარკვია, ძალა დაუბრუნდა.

„არასოდეს!“ ხმა ააზეულა და შესძახა ქეთევანმა და ხელებ გაკრული ისე ზვიადათ აღიმართა, რომ ბრბო მყისვე დადუმდა...

იდგა უსაჩინოესი, ვიღაცამ წარტაცა ტკივილები, წყლულნი თითქოს გაუყუჩდნენ.

„მაგას ვით მნუკავთ ხალხნო“, გაისმა მრისხანედ, „მამული დავგმო, სჯული დავაგდო? შთაგაგონათ განა ბოროტება სატანაელმა?... განაგრძეთ სასჯელი, რაიცა ნებავს შახაბაზს ჩემთვის... აჰა, მზადა ვარ წინაშე თქვენთა“... ხმა ანაზდეულად ჩაუწყდა, თვალთა ისარი ეხლა მტირალ ქართველ ტყვეებს მიაპყრო...„ნუ მწუხარე ხართ დანო, ძმანო და შვილნო ჩემნო! მამულისათვის თავის შეწირვა, ვალია წმინდა და შეუგინებელი. **აწ უმეტესად ბედნიერად ვრაცხ თავსა ჩემსა, ვიდრე დედოფლობისა** შინა; ნუ შეწუხდებით, ოდეს იხილოთ უსასტიკესი სატანჯველნი ხორცთა ამათ ჩემთანა... ნუ მშიშარ იქნებით, ჟამსა უბედურებისასა. განამტკიცეთ ქართველთა შორის სული ძლიერი, დაიცავით სამშობლო, **აღიმართენით“...** ჯალათმა სიტყვა არ ახანა, გაღვივებული შანთი მკერდში აძგერა... ზურგიდან მსწრაფლ მოუარეს და დაშანთული ნაკვერჩხლებზე, გახურებულ სამჭვალეებზე განართხეს. სისხლმოქმეული ფეხზე ძალით წამოაყენეს და და ჩაიკეცა... თვალბუდის მიდამოებიდან სითხე გადმოდიოდა... ამწვარ-აშუშხულ თავიდან კვამლი ავარდა და შეთრთვილული თმა დაცვივდა“...

**აღსრულდა დიდი დედოფალი და „ლურჯი ნათელი დაადგა წამების ადგილს“...**

ასე ამთავრებს ამ გულის შემზარავ სურათს ნიჭიერი მწერალი ქალი.

მისი რომანის ნაკვეთები მარტო იმით კი არ არიან შესანიშნავი, რომ მაშინდელ საქართველოს და კერძოდ კახეთის ზუსტ განსახიერებას იძლევიან, თან სახელოვან დედოფალს სხვა და სხვა ასპექტში გამოავლენენ (მშვიდობიანობისას, თავდაცვა-შეტევისას, რჯულისა და სამშობლოსათვის წამებისას და სხ.), არამედ უმთავრესად, მისი პატრიოტიზმის ძალით, სულიერი სიმტკიცით და განუხრელობით. მაშინდელი და უფრო ადრინდელიც „ქართლის ცხოვრების“ გზა ხომ ქრისტიანობის დროშით მიიმართებოდა და ძლიერი ისლამის წინაშე ამ დროშის დახრა, ერის სხეულში სასიკვდილო მახვილის გატარება იყო.

იქ, სადაც ისლამმა ქართულ მიწა-წყალზე ფეხი მოიკიდა, ქართველობა დედის ძუძუს სწყდებოდა და უცხო სახეს და სულს იღებდა. ნელ-ნელი გადაგვარების აცდენა შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები ხმლით და ჯვარით ხელში.

ქეთევანის სიმტკიცე მამა-პაპათა რჯულზე, მისი შეუდრეკელი რწმენა და „კოცონზე“ ქრისტესა და მარიამისადმი მიმართული ლოცვანი და ჰიმნები, ნამდვილად საქართველოს და ქართველობის გაღმერთებაა, მისთვის მოწამებრივი სიკვდილი უმაღლესი ჯილდოა. ქეთევანი მტრის ძლიერ და ულმობელ რკალში მომწყვდეული, ბოლოს უძლეველი ხდება. ეს ფაქიზი ჰაეროვანი ქართველი ქალი, ყოველ საჭურველს მოკლებული და ტყვე, უდიდესი სატრაპისა და მისი გააფრთებული ჯალათების წინ შეუდრეკელია. სასიკვდილო კოცონზე, სადაც მას გახურებული შამფურებით შანთავენ და ძუძუებს ჰგლეჯენ, სადაც არა მარტო გამხეცებულ სპარსთა ბრბო აძაგებს და შეურაცყოფს მას, არამედ თვით ქართველი ტყვეები, საკუთარნი და ახლობელნი ტირილით ევედრებიან: „უარყავ რჯული და შენც გადარჩები და ჩვენცაო“, ამ დროს ის მაინც კლდესავით შეუდრეკელი სდგას და ნახევრად დამწვარი და სისხლისაგან დაცლილი იმეორებს: „არასოდესო“.

განა ეს ყველაზე მტკიცე ქვა არ არის „ქართლის ცხოვრების“ გასაგრძელებლად მიტანილი?

***

ქეთევანის საჯაროდ წამება იმ აზრით მოიგონეს, რომ დარწმუნებული იყვნენ, ძალა და შიში გასტეხდა ყოფილ დედოფალს და სპარსეთი და შახი ამით პრესტიჟს გადაირჩენდნენ. ქეთევანის ურჩობა, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, უნდა გაეტეხათ... ეს მარტო ჯიუტობა კი არ იყო, ამას ითხოვდა ისლამის ავტორიტეტი და მთელაღმოსავლეთში გაბატონებული შახის ძალა და პრესტიჟი.

მძიმე ტყვეობით დაუძლურებულ, მიტოვებულ, უმწეო ქალის წინ ქედს ხომ ვერ მოიხრიდა უძლეველი შახაბაზ პირველი? ასე ფიქრობდა და სჯეროდა სპარსეთს და ამიტომ საქვეყნოდ ჩაატარა ეს წამება.

მაგრამ აქ მოხდა უდიდესი საკვირველება, ღვთიური სასწაული: სუსტმა და უძლურმა ქალმა დაამარცხა საქართველოს და მისი რჯულის მტერი, გასტეხა და მიწაზე განართხა დიდი შახის თითქოს უძლეველი ძალა და ნება...

ქეთევანის სული დამწვარ და დაფლეთილ სხეულიდან **შემართებით ამაღლდა** და „კეთილმა სძლია ბოროტსა“, არსება მისი უკვდავ იქცა... ეს „კეთილი“ და სიმართლე იყო მამულის, ხალხის და რჯულის საუკუნოებრივი სულიერი სალაროა. ქეთევანმა აქ მოიგო ომი საქართველოსთვის და „ქართლის ცხოვრება“ ძველი გზით წარმართა. ამაშია უკვდავება მისი ღვაწლისა და წამებისა. ეს „საღმთო ვალი“ მან დიდის ღირსებით მოიხადა და ანტონ კათალიკოს მშვენივრად უთქვამს ამის გამო: „აქვს საღმთო ვალი ვითა ცხოველი წყალი, გუ**ლი უძს სალი, მით დასცა მძლავრი მწყრალი, და ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი“**

***

აი, ასეთმა სიმტკიცემ შეინახა საქართველო და უკვდავ ჰყო ქართველ ქალთა დასი, რომელთა შორის მწვერვალზე ღირსეულად სდგას წამებული დედოფალი.

**ქეთევან დედოფლის ღვაწლის და წამების მადლი უნდა ნათელ სვეტად ჩაეშვას დღეის ქართველობის ყოფას.**

ყველა ეს იშვიათის ხელოვნებით კვლავ გაგვიცოცხლა ნიჭიერმა ქალმა,—ქეთევან ირემაძემ. ამიტომ დაშთა მის მოკლე გზას ნათელი კვალი.

ქართველ მწერლებთან ერთად ჩვენც ვწუხვართ მის ბედზე; ბედზე, რომელმაც სულ ახალგაზრდა მწერალს, ცოდნასთან ნიჭი და შრომის უნარი დაუკურთხა, მაგრამ ერთი რამ ვერ გაიმეტა: მისთვის ხანი დაენანა...

არ შეგვიძლიან საყვედური არ ვკადროთ განგებას, როცა ამ პატარა წიგნს გატაცებით ჩავიკითხავთ და დავხურავთ...

სექტემბერი 1963 წ.

**თამარ პაპავა.**

## ცნობები ჯოჯოხეთიდან.

აგვისტოს 2-ს, საინფორმაციო სააგენტო როიტერმა მოსკოვიდან გადმოსცა, რომ „პურის ულუფა განსაზღვრულია და, როგორც სჩანს, ფქვილის შეძენა შეუძლებელიო. რუსის ხალხმა მხოლოდ დღეს გაიგო ხორბლის ნაკლულოვანების მთელი საფრთხეო.

პურის მაღაზიები მოქალაქეებს აძლევენ ერთ გირვანქა თეთრს და ოთხ გირვანქა შავ პურს. მეპურეები აცხადებენ, რომ მათ საამისო ბრძანება აქვთ. მაგრამ მოქალაქეებს შეუძლიანთ ერთი მაღაზიიდან მეორეში წავიდნენ და იქაც შეიძინონ პური, თუ რიგში ჩადგომა მოასწრესო.

მოსკოვის გაზეთებმა მეტად გაუგებრად გამოაქვეყნეს ხრუშჩოვის სიტყვა, წარმოთქმული რუს ფარმერების წინაშე, სადაც მან აღიარა „პურის მოსავლის მძიმე მარცხი „უამინდობით“ გამოწვეული.

მან მსმენელებს აუწყა, რომ „რუსეთმა იყიდა კანადიდან, ავსტრალიიდან და სხვა ქვეყნებიდან ხორბლეული“.

ხრუშჩოვი იმედოვნებს, რომ ხორბლეულის მოსავალი უკეთესი იქნება იმ რაიონებში, სადაც კარგად არის გამოყენებული მორწყვა და განოყიერებაო“.

## აბრამ ლინკოლნი.

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“-ს 41 ნომ.)

1856 წ. რესპუბლიკანური პარტიის პირველი ეროვნულ კონფერენციაზე, ვიცე პრეზიდენტის კენჭის ყრის დროს, ლინკოლნი მეორე ადგილზე გამოვიდა. მიუხედავათ იმისა, რომ ის იშვიათად თუ გასცილებია თავის შტატს, მაინც უკვე ცნობილი პიროვნება იყო. მას იცნობდნენ, როგორც ბრძნულად მოაზროვნეს და მტკიცე ნებისყოფის ადამიანს. მიუხედავათ თავისი არა მიმზიდველი გარეგნობისა, რაღაც ჯადოსნურ თვისებას ფლობდა, რომლითაც ხიბლავდა და იპყრობდა ამომრჩეველს. რესპუბლიკანური პარტიის პირველი ყრილობის ორი წლის თავზე ის უკვე ძლიერ ფიგურათ იქცა მთელი შეერთებული შტატების მასშტაბით.

კანზას-ნებრასკის შესახებ მიღებულმა კანონმა ამ დროისათვის უკვე გამოიღო თავისი უარყოფითი ნაყოფი და რამდენათაც შეეძლო მდგომარეობა გაეუარესებინა და დაემძიმებინა, ეს უკვე აღსრულებული იყო.

ახლოვდებოდა საბედისწერო ჟამი.

1857 წელს პრეზიდენტი პირსი შესცვალა მეორე სუსტი ნებისყოფის დემოკრატმა ბიუკენენმა. ბიუკენენმა ორმოცი წელი გაატარა საზოგადოებრივ ასპარეზზე და,ისტორიკოსების აზრით,„ ვერც საზოგადოებრივი მოძრაობის ალღო შეითვისა და ვერც სახელმწიფოებრივი სიბრძნე. სამაგიეროდ მას კარგად ჰქონდა შეთვისებული პოზის მნიშვნელობა და დიდი ხელოვნებითა ფლობდა თვისებას, რომ მთავარი საკითხებისათვის გვარდი აეხვია და მოქმედების დროს გარდაწყვეტილების მიღების შიში დაეფარა. კრიტიკულ მომენტებში, მუდამ მერყევი, დარწმუნებული იყო, რომ ლიდერის მოვალეობაა ხან გამოშვებით განაცხადოს, რომ არც ისე საშიშო და გამოუვალია მდგომარეობა, როგორც ეს სჩანსო. ამგვარ განცხადებებით და იოლ პოლიტიკურ შეთანხმებებით ცდილობდა დაემყარებინა მშვიდობა უაღრესად აფორიაქებულ ქვეყანაში. მაგრამ, მისმა მერყეობამ და—უფრო კი სამხრეთისადმი სიმპატიებმა, თვით დემოკრატიული პარტიაც გააპო და ქვეყანაში მშვიდობის ჩამოგდებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

პრეზიდენტის მოვალეობის აღსრულების სულ რამოდენიმე დღით ადრე, ბიუკენენმა მიიღო დამოწმება, რომ შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლო ფიქრობს მოაგვაროს მონობის საკითხი. სასამართლოს უნდოდა მისურის კომპრომისი გამოეცხადებინა კონსტიტუციასთან შეუფერებლად, რადგან კონგრეს არა აქვს უფლება სახელმწიფო მიწებიდან განდევნოს მონობაო. ამ მოვლენაში ყველაზე

გულუბრყვილოდ ბიუკენენი მოსჩანს, რომელმაც დაიჯერა, რომ სასამართლოს ამ გარდაწყვეტილებას შეეძლო საკითხის მოგვარება და ზავის დამყარება, როდესაც ძმათა შორის სისხლი უკვე ილვრებოდა.

უმაღლესმა სასამართლომ საჩქაროდ გამოიტანა გარდაწყვეტილება, მაგრამ შედეგი სულ სხვა იყო, ვიდრე მას ბიუკენენი მოელოდა. სასამართლოს განაჩენი ემყარებოდა დრედ სკოტის საქმეს. ეს იყო ნეგრი, რომელიც თავისი თავის თავისუფლებას იმით იცავდა, რომ მან მრავალი წლების განმავლობაში იცხოვრა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისურის შეთანხმებით მონობისაგან თავისუფალი იყო. მაგრამ, რადგან სასამართლომ გააუქმა მისურის შეთანხმება, ცხადია, მასზე დაყრდნობაც კარგავდა მნიშვნელობას.

(გაგრძელება იქნება.)

**არ. დონაური.**

### ახალი შვიდწლედი

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიაზე ნიკიტას ხუთ საათიანი სიტყვა პირველ დღეს წამოუთქვავს, მეორე დღეს კი ორ საათიანი. მან აღიარა, რომ ხორბლეულის წლევანდელი მოსავალი 20% ნაკლებია, ვიდრე გასულ წელს იყოო. მან პარტიულ ხელმძღვანელობას წარუდგინა მიწის ქიმიური განაყოფიერების ახალი გეგმა, რომელიც გაზრდის სასოფლო-სამეურნეო შემოსავალსო.

ხრუშჩოვმა პარტიის უმაღლეს წარმომადგენლების წინ დაიცვა საბჭოეთის მიერ უცხოეთში ხორბლეულის შეყიდვის საკითხი და ხაზი გაუსვა, თუ სტალინის დროს, როგორ გაჰქონდათ პური უცხოეთში, როცა შინ რუსები შიმშილით იხოცებოდნენო. (ჩვენი მკირხველი ამავე გაზეთიდან გაიგებს, რომ თვით ხრუშჩოვსაც გააქვს უცხოეთში საქონელი (ამ შემთხვევაში კარაქი), რომელიც საბჭოთა მოქალაქეს დიდათ აკლი).

ამასთან პარტიის ლიდერებს ხრუშჩოვმა წარუდგინა ახალი შვიდ წლედის გეგმა. მისი აზრით 47 მილიარდი დაიხარჯება ქიმიური ინდუსტრიისათვის, რომელიც 1970 წ. მიწის მეურნეობას იმდენათ გაზრდის, რომ საბჭოთა იმპერიის მოსახლეობას სურსათ-სანოვაგის პრობლემა აღარ ექნებაო.

ხრუშჩოვის აზრით ქიმიური ინდუსტრიის მშენებლობა მიენდობა ისეთ უცხო კომპანიებს, რომლებიც „პატიოსანი“ მოგებით დაკმაყოფილდებიან და გრძელ ვადიან სესხზეც დათანხმდებიან. (ამ მოვლენაში ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ „მაღალ ინდუსტრიალური“ რუსეთი, ქიმიური ინდუსტრიისათვის უცხო კომპანიებს იწვევს!)

***

ეჭვი არ არის უცხოეთში მრავლად აღმოჩნდებიან კომპანიები, რომლებიც გრძელვადიანი სესხით და „პატიოსანი“ მოგების პირობებში ნიკიტას „ამოსუნთქვის“ შესაძლებლობას მისცემენ, გაჭირვებიდან გამოიყვანენ, რათა ახალი ძალით და ენერგიით შემოგვიტიოს და თავისუფალი, დემოკრატიული სამყარო „დაასამაროს“

თავისუფალ ქვეყნებში აღარ არსებობს 'დახმარების“ ზომა და რიგი, უმთვრესად კი ეხმარებიან უფრო მტრებს და ფიქრობენ, რომ ეს არის გამარჯვების გზა...

სახელმწიფოებრივ სიბრძნით მოსილ ადენაუერმა განაცხადა: დასავლეთმა სწორედ ამით უნდა ისარგებლოს და რუსეთი აიძულოს პოლიტიკურ დათმობაზე წავიდესო. საშუალო საუკუნეებში გამაგრებულ ქალაქებს სწორედ შიმშილით აიძულებდნენ ხოლმე დამორჩილებოდნენო.

მართალია ეს არის დასავლეთის დემოკრატიის გამარჯვების სწორი გზა, და ისტორიული ტრადიციით გამართლებული პოლიტიკა, მაგრამ უტრადიციო და ისტორიანაკლულოვან პოლიტიკოსებისათვის, სადაც ვაჭრობის ინტერესი მაღლა დგა, ვიდრე მტრის დამარცხება,—ადენაუერის გამარჯვების გზა შეუფერებელია.

ამ პრინციპებისა და იდეების აღრევის ეპოქაში დემოკრატიულ სამყაროში, თვინიერების პოლიტიკა სჭარბობს გამარჯვების წინდაწინ პირობას.

### ასეთია რუსული მეგობრობა.

რუსეთი ყველგან და ლოველთვის აფრო-აზიელების მცველად გამოდის და მათ „ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლას „მაღალი პოპაგანდით“ იცავს. ამავე დროს მან ფართოდ გახსნა საბჭოეთის და მისგან დამონებული ერების კარები აფრო-აზიელ სტუდენტებისთვის.

ძალიან მალე გამოირკვა, რომ რუსული პროპაგანდა სხვაა და ზრახვა სულ სხვა. ჯერ კიდევ გასულ მარტში დატოვეს აფრიკელმა სტუდენტებმა სოფია, რასიული დისკრიმინაციისათვის, ეხლა კი დეკემბრის 17 და 18 განას სტუდენტებმა მოსკოვში ნამდვილი აჯანყება მოაწყეს. უცხოეთის ჟურნალისტების აზრით მოსკოვს 1917 წ. რევოლუციის შემდეგ არ უნახია მსგავსი დემონსტრაციაო. ამ ჟამად აფრიკელ სტუდენტების აღელვება გამოუწვევია, ერთი მათი ამხანაგის მოკვლას, რომელიც მოსკოვის გარე უბანში უპოვიათ. განელ სტუდენტების ცნობით მათი ამხანაგი მოუკლავთ, რადგან მას შეყვარებია რუსი გოგო, რომელსაც მშობლებმი შავკანიანზე გათხოვების უფლებას არ აძლევდნენ. ამას გამოუწვევია განელ სტუდენტების ღრმა აღშფოთება და „აჯანყებამდე“ მისული დემონსტრაციები.

გამოიყენებენ აფრო-აზიელები ამ შემთხვევას მაგალითად და განიმიჯნებიან რუსულ ყალბ პროპაგანდისაგან?.

## ას მეერთე „ვეტო“

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭომ გაარჩია პალესტინის საჩივარი, რომელიც ეხებოდა სირიის მიერ ებრაელების საზღვრების გადალახვას და ორი ებრაელის მოკვლას.

ებრაელების საჩივარს თაოსნობდა ანგლო-ამერიკული წარმომადგენლობა. მიდგომა მეტად დიპლომატიური იყო და რათა სირიის გაკიცხვა თავიდან აეშორებინათ,—რაც ცივი ომის შენელების პროცედურაში შედის, ანგლო-ამერიკული რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ აგვისტოს 19-ს შეიარაღებულმა ბანდამ გადალახა ებრაელების სახელმწიფო საზღვარი და ებრაელების სახელმწიფო ტერიტორიაზე მოკლა ორი ებრაელი და მკვლელთა შეიარაღებული ბანდა გადმოვიდა სირიის ტერიტორიიდანო.

მრავალი დიპლომატიური ნაბიჯი გადაიდგა რათა საბჭოთა წარმომადგენელს თავი მაინც შეეკავებინა და თავის წინაალმდეგობით კვლავ არ გაემძაფრებინა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობა, რომელიც „მორიგების“ გზაზე იყო. მაგრამ ნიკოლოზ ფედერენკომ განაცხადა, რომ მისი მთავრობა (ე. ი. საბჭოთა) ანგლო-ამერიკულ რეზოლუციას არ იზიარებს და, რადგან რეზოლუცია ხმის უმრავლესობით მაინც გავიდა, საბჭოეთმა გამოიყენა ვეტოს უფლება, რომელიც ასმეერთედ ითვლება.

## „ბზარი თაფლის თვეში“

**გაერთიანებული ერები.**

ოქტომბრის 2-ს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრომიკომ თავისი ინგლისელი კოლეგა საუზმეთ მიიწვია. ცხადია, საკითხი შეეხებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის დაძაბულობის შენელებას და ატომურ იარაღების ცდების ნაწილობრივ შეზღუდვას, რაც სულ ორიოდე თვის წინ დიდის თეატრალობით იქმნა გათამაშებული.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს თავის მასპინძლისათვის მოუხსენებია, რომ „აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას წინ უნდა უსწრებდეს რუსეთის მიერ დასავლეთ ბერლინის შეუვალობის მტკიცე გარანტია“ო. გრომიკომ კატეგორიულად უარყო ეს წინადადება და მოითხოვა ბერლინის საკითხის გამოყოფა.

ამასთან მან გააფრთხილა ბრიტანეთის მინისტრი, რომ დასავლეთის მიერ განზრახული ევროპიული თავდაცვის ორგანიზაციის საზღვაო ძალების ატომური იარაღით შეიარაღება დიდ დაპრკოლებას შექმნის დაძაბულობის შენელების და ატომური იარაღის ცდების შეზღუდვისათვისო.

ამგვარად, ახლად „შეუღლებულების“ თაფლის თვეშივე ჩაისახა განქორწინების ნიშნები.

### ტიტო გაერთიანებულ ერებში.

ოქტომბრის 23-ს იუგოსლავიის დიქტატორი ესტუმრა გაერთიანებულ ერებს და საერთაშორისო ორგანიზაციას ასწავლა, რომ „1960 წლის შემდეგ საერთაშორისო ატმოსფერო საგრძნობლად გამოიცვალა, რაც მშვიდობიანობის მოყვარულ ძალების მუშაობით აიხსნება“

ტიტოს აზრით 'თანაარსებობა შესაძლებელიც არის და აუცილებელიც“. „უნდა გამოცხადდეს მშვიდობიანობის პოლიტიკა და აიკრძალოს ძალმომრეობა“, „უნდა აღიარებულ იქმნეს ჩაურევლობის პრინციპი“, ხალხის უფლება თვითგამორკვევის და უფლება, რომ ხალხმა ნებაყოფლობით აირჩიოს თავისი სავალი (მხედველობაშია სოციალურ-პოლიტიკური სისტემა) გზა.

ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ თვით ტიტომ მისცა ასეთივე უფლებები თავის ხალხს; თუ იუგოსლავიაში არსებობს ოპოზიციური პარტია, თუ მან გაანთავისუფლა პოლიტიკური ტუსაღები და მათში მილოვან ჯილასი, ტიტომ ნერვიულად მიუგო: „ეს არის იუგოსლავიის შინაური საქმეო“.

ასე ესმით კომუნისტ დიქტატორებს ჩაურევლობის პრინციპი. თვითონ უფლება აქვთ სხვა ქვეყნებს „მიუთითონ ნაკლებზე“ და მოითხოვონ მისი გამოსწორება, ხოლო თავის ქვეყანაში დესპოტიური რეჟიმი,—ეს მისი შინაური საქმეა და არავის მისცემს უფლებას ამაზე ილაპარაკოს.

საკვირველი და აღმაშფოთებელია, რომ ამას გულმშვიდათ ისმენენ მაღალი დემოკრატიის წარმომადგენლები!

**ვენა, ნოემბრის 16-ს.**

დასავლეთის თავისუფალი პრესის წარმომადგენლები იუწყებიან მოსკოვიდან, რომ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მუშათა ორ სერიოზულ გამოსვლას.

პირველს ადგილი ჰქონია ადესაში, როდესაც მუშებს უარი უთქვავთ კუბაში მიმავალ გემზე კარაქის დატვირთვაზე, მეორე მომხდარა „კრივოი როგში“, სადაც ქარხნის მუშებს მუთხოვიათ ხელფასის მომატება და პურის ულუფის მიღების გარანტია.

მუშების აზრით, თურმე ხორბლეულის ნაკლულოვანებამ ოფიციალურ პურის მაღაზიებშიც დიდი ნაკლულოვანება გამოიწვია, რადგან პური „შავ ბაზარზე“ გადაიტანესო, რაც მიუწვდომელი გამხდარა მუშის ხელფასისათვის.

## რედაქციისგან.

1963 წ. განმავლობაში „ქართული აზრის“ რედაქციამ მიიღო შემოწირულება შემდეგი თანამემამულეებისაგან: ბ.ბ. გ. გაბლიანი-300 დოლ., დ. ჩ.-150 დოლ. ო. ზალდასტანიშვილისაგან-100 დოლ. ა. კ.- 95 დოლ. ვ. სანგულიასაგან-90 დოლ. გ. ზალდასტანიშვილისაგან-80 დოლ. დ. მახარაშვილისაგან-50 დოლ. ნ. თოფურიასაგან-30 დოლ. ს.ბ.-30 დოლ. დ. შალიკაშვილი-30 დოლ. გ. ჯაყელი-25 დოლ. ერთი მკითხველი-19 დოლ. ს. სირელი-10 დოლ. გ. ნაკაშიძე-10 დოლ. ს. კობიაშვილი 10 დოლ. ალ. ჯინჭარაძე-10 დოლ. ვ. კობი-5 დოლ. გ. აბულაძე-10 დ. და გ. ცინცაძესგან-10

„ქართული აზრის“ რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველებს და იმედს გამოსთქვავს, რომ ქართული პრესის მოყვარული თანამემამულეები არც შემდეგში მოგვაკლებენ ყურადღებას და დახმარებას.

## მადლობის გამოცხადება.

ულრმეს მადლობას მოვახსენებ ყვალა თანამემამულეს, რომლებიც ჩემს წერილობით მიმართვას გამოეხმაურნენ და მომავალ საქმიანობისათვის აღმითქვეს, როგორც პრაქტიკული, ისე ფინანსიური დახმარება.

იმ თანამემამულეებს კი, რომლებმაც ჯერ ვერ მოასწრეს პასუხის გაცემა, უმორჩილესად ვთხოვ თავისი აზრი გვაცნობონ.

ჩემ სახელზე მიღებული შემოწირულებები გამოცხადებულია „ქართული აზრის“ რედაქციის მიერ.

**პატივისცემით გ. ზალდასტანიშვილი.**

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 9-ს, გერმანიაში გარდაიცვალა ქართული საქმის დიდი მოამაგე

**პროფესორი მიხეილ ახმეტელი.**

„ქართული აზრის“ რედაქცია დასტირის ქართველი მამულიშვილის უდროოდ განშორებას ამა ქვეყნიდან და ულრმეს თნაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 12-ს, პარიზში გარდაიცვალა

**ელისაბედ ყიფიანი-გაბაშვილისა.**

„ქართული აზრის“ რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს, ნათესავებს და მეგობრებს.

**„ამერიკულ-უკრაინული პრესა“ ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს ქართულ ენაზედაც.**
**114 St. Mark,s Place New York 9, N. Y.**

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

*Mr. G. Djakeli*

***561 W. 141 St., N. Y. C.***

**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*
*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*